

შენობის არაკონსტრუქციო ნაწილი- დემონტაჟი



შ. ა. ხ. '" არქარტი "		ა	ნინოშვილის ქ.#30-ში არსებული ნაგებობის მიშენება რეკონსტრუქციის პროექტი	
დირექტორი		გ. მარსაგიშვილი	არსებული შენობა/ანაზომი	სტადია: პროექტი
პრ. მთ. არქიტექტ.		გ. მარსაგიშვილი		
აუტორები		გ. მარსაგიშვილი	ტოპო გადაღება	დ.კვ. I/14
		შ. ჯოჯუა		ფურც.
დამპროექტებელი		შ. ჯოჯუა	მასშტაბი 1:500	ფ.რაოდ.


შენობის არაკონსტრუქციო ნაწილი

სამეზობლო კედელი არ ექვემდებარება დემონტაჟს.




შ. პ. ს. '" არქარტი "		ა	ნინოშვილის ქ.#30-ში არსებული ნაგებობის მიშენება რეკონსტრუქციის პროექტი	
დირექტორი		გ. მარსაგიშვილი	არსებული შენობა/ანაზომი	სტადია: პრეს პროექტი
პრ. მთ. არქიტექტ.		გ. მარსაგიშვილი		
აუტორები		გ. მარსაგიშვილი	I სართული	დაკვ. I/14
		შ. ჯოჯუა		ფურც.
დამუშავა		შ. ჯოჯუა	მასშტაბი 1:100	ფ.რაოდ.

არსებული ფასადი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
მ 1:100




არსებული ფასადი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან
მ 1:100





არსებული ფასადი სამხრეთ-დასავლეთიდან
დასავლეთი
მ 1:100




შ. ა. ს. '" არქარტი "		ა	ნინოშვილის ქ.#30-ში არსებული ნაგებობის მიშენება რეკონსტრუქციის პროექტი	
დირექტორი		გ. მარსაგიშვილი	არსებული შენობა/ანაზომი	სტადია: მუშა პროექტი
პრ. მთ. არქიტექტ.		გ. მარსაგიშვილი		
ავტორები		გ. მარსაგიშვილი	ფასადები	დაკ. 1/14
		შ. ჯოჯუა		ფურც.
დამუშავა		შ. ჯოჯუა	მასშტაბი 1:100	ფ.რაოდ.


სამეზობლო კედელი არ ექვემდებარება დემონტაჟს.

შენობის სარეკონსტრუქციო ნაწილი

არსებული ჭრილი 1-1
მ 1:100



არსებული ჭრილი 2-2
მ 1:100



არ ექვემდებარება დემონტაჟს

შ. ა. ს. '" არქარტი "			ა	ნინოწმიდის ქ.#30-ში არსებული ნაგებობის მიშენება რეკონსტრუქციის პროექტი
დირექტორი		გ. მარსაგიშვილი	არსებული შენობა/ანაზომი	სტადია: პროექტი
პრ. მთ. არქიტექტ.		გ. მარსაგიშვილი		
ავტორები		გ. მარსაგიშვილი	ჭრილი1-1/ჭრილი2-2	დაკვ. 1/14
		შ. ჯოჯუა		ფურც.
დამუშავა		შ. ჯოჯუა	მასშტაბი 1:100	ფ.რაოდ.

შპს "ა რ ქ ა რ ტ ი"

ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. №30-ში მდებარე ერთსართულიანი შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2014 წ

შპს "ა რ ქ ა რ ტ ი"

ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. №30-ში მდებარე ერთსართულიანი შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

დირექტორი — გ. მარსაბიშვილი

მთ. სპეციალისტი — ტ. სტურუა

თბილისი 2014 წ

შემადგენლობა

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

VIII. სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი "მო-1" – "დემონტაჟის სამშენებლო გენგეგმა"

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. №30-ში არსებული ერთსართულიანი შენობის დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია შპს "არქარტი"-ს მიერ, დამკვეთისაგან მიღებული საპროექტო დავალების თანახმად.

წინამდებარე "სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი" დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) საფუძველზე:

1. სნდაწ 3.01.01-85* - "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია"
2. სნდაწ 1.04.03-85 – "მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები"
3. სნდაწ III-4-80* - "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში"
4. "სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებაზე მეთოდური მითითებები"

სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს "სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი" (თანახმად სნდაწ 3.01.01-85*-ის მოთხოვნისა).

II. სადემონტაჟო ობიექტის დასახელება

სადემონტაჟო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, ნინოშვილის ქუჩა №30-ში.

სადემონტაჟო შენობა გარშემორტყმულია არსებული ერთსართულიანი და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებით.

შენობა არის ერთსართულიანი, ზომებით ღერძებში 7.85X19.1 მ. შენობის მაქსიმალური სიმაღლეა – 6.07 მ.

სადემონტაჟო შენობის დემონტაჟი ხორციელდება "სახურავიდან" – "საძირკვლებამდე".

შენობა გადაწყვეტილის შემდეგ კონსტრუქციებში:

– საძირკვლები – მონოლითური ბეტონის;

– კედლები – აგურის;

– გადახურვა – ხის კოჭებზე;

– სახურავი – ხის ნივნივებზე, ლითონის;

– ტიხრები – აგურის;

სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებამდე უშუალოდ ადგილზე დაზუსტდეს შენობის კონსტრუქციული აგებულება კონსტრუქციების გაშიშვლების გზით.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

ერთსართულიანი შენობის დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85-ის "მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების" და "დამხმარე სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის" საფუძველზე და შეადგენს მშენებლობის დაწყებიდან 3 თვეს (ტერიტორიის სივიწროვის გათვალისწინებით), აქედან მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა არის 1 კვირა.

ცალკეული სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა მოცემულია "სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა"-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

ქალაქ თბილისში, ნინოშვილის ქუჩა №30-ში მდებარე ერთსართულიანი შენობის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

I რიგი – მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები;

II რიგი – დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები;

მოსამზადებელ პერიოდში ხორციელდება შემდეგი სახის სამუშაოები:

1. დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა;
2. სახიფათო ზონების ადგილზე დატანა და დროებითი ღობით შემოღობვა;
3. შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან;
4. დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა;

5. მტვრისა და ხმაურისაგან დამცავი ღონისძიებების განხორციელება;
6. სახიფათო ზონების ამკრძალავი, გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა;

ძირითად პერიოდში სრულდება ერთსართულიანი შენობის კონსტრუქციების დაშლის სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგ ეტაპებად:

I ეტაპი – სახურავის და შუქფარნების დემონტაჟი;

II ეტაპი – გადახურვის კონსტრუქციების დემონტაჟი;

III ეტაპი – კედლების და ტიხრების დემონტაჟი;

IV ეტაპი – I სართულის იატაკის კონსტრუქციების დემონტაჟი;

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს "ზემოდან"-"ქვემოთ", "სახურავიდან"-"საძირკვლებამდე", ელემენტური დაშლისა და გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის მეთოდებით, სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიის შესაბამისად.

შენობის კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

1. კონსტრუქციების, იატაკების, შეკიდული ჭერების დემონტაჟი;
2. კარ-ფანჯრების დემონტაჟი;

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანმიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე გარე ქსელებიდან აუცილებლად უნდა გამოირთოს ყველა შიგა კომუნიკაცია (დენი, წყალი, კანალიზაცია, გაზი).

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა, განლაგება და მაქსიმალური წონა.

ამასთანავე, მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა იქნას შესწავლილი სადემონტაჟო შენობის იმ

კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა, რომლებიც არ ექვემდებარებიან დემონტაჟს, საჭიროების შემთხვევაში კი უნდა მოხდეს მათი გამაგრება ან გაძლიერება.

მიუხედავად იმისა, რომ სადემონტაჟო ერთსართულიანი შენობის საძირკვლები მიწაში რჩება და პროექტით დემონტაჟს არ ექვემდებარება. მაინც აუცილებლად მიგვაჩნია დემონტაჟის სამუშაოების დაწყებამდე შესწავლილი იქნას სადემონტაჟო შენობის მომიჯნავე ერთ და ორსართულიანი შენობების საძირკვლების ჩაღრმავება და არსებული კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი გამაგრება-გაძლიერება. მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს "ზემოდან"-"ქვემოთ", "სახურავიდან"-"საძირკვლებამდე". ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს. პირველ რიგში დემონტირებულ უნდა იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კონსტრუქციები.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

საინჟინრო ქსელების დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩებით.

იატაკის ელემენტების და ხის კოჭების დემონტაჟი უნდა მოხდეს ხელით, ელემენტურად, მცირე მექანიზაციის საშუალებებისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.

ტიხრების, კარებების, ფანჯრებისა და სახურავის ელემენტების დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ელემენტური დაშლით, მცირე მექანიზაციისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.

აგურის მზიდი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი ხორციელდება ელემენტური დაშლის გზით, მცირე მექანიზაციისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.

აგურის მზიდი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი პირდაპირი მონგრევის გზით აკრძალულია!

დემონტირებული კონსტრუქციების, ასევე მასალების და ნაკეთობების ტრანსპორტირება განლაგების ადგილიდან სასაწყობო მოედნამდე ხორციელდება ხელით, მცირე მექანიზაციის გამოყენებით.

მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი მასალები, დეტალები და კონსტრუქციები დასაწყობდეს ცალკე, ხოლო სამშენებლო ნაგვის სახით კი დასაწყობდეს ცალკე.

სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე ხორციელდება ექსკავატორით "უკუჩამჩა", ტევადობით 0.25 მ^3 და ასევე ხელით.

სახურავიდან დემონტირებული მასალების, ნაკეთობების და ნაგვის ჩამოყრა ქვემოთ აკრძალულია! უნდა მოხდეს მათი ტრანსპორტირება დახურული ღარებით ან ბუნკერებით.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ-III-4080*-ის მოთხოვნები და ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრობა და ოპერატიულობა.

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

ერთსართულიანი შენობის სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1	ექსკავატორი "უკუ ჩამჩა" ტევადობით 0.25 მ^3	1 ც
2	მოძრავი კომპრესორი	1 ც
3	ავტოთვითმცლელი	2 ც
4	ბორტული ავტომანქანა	2 ც
5	მცირე მექანიზაციის საშუალებები	1 კომპ.
6	პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები	2 ც
7	ელექტრული ჭრის მექანიზმები	1 ც
8	ინვენტარული ჩარჩოები	100 მ^2

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ III-4-80*-ის "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

სადემონტაჟო სამუშაოების საწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს როგორც შენობის სადემონტაჟო ელემენტების, ასევე შენობის არასადემონტაჟო ელემენტებისა და მომიჯნავე შენობების კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა, განლაგება და წონა.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს წარმოშობილი სახიფათო ზონის რადიუსი შეადგენს 3.5 მ-ს სადემონტაჟო შენობის კონტურიდან. სახიფათო ზონის საზღვარი უნდა აღინიშნოს კარგად დასანახი ნიშნებით, სიგნალებით და შესაძლებლობის შემთხვევაში შემოიღობოს დროებითი ღობით, თანახმად Гост 23407-78-ის მოთხოვნებისა.

ერთსართულიანი შენობის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო პირთა ყოფნა სახიფათო ზონის საზღვრებში.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებული ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით (უსაფრთხოების ქამრები, ჩაფხუტები, რეზინის ხელთათმანები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე დაშვება ინდივიდუალური უსაფრთხოების საშუალებების გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელგადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია დამშვები-განწესის საფუძველზე, რომელსაც გასცემს ელ.გადამცემი ხაზის მფლობელი ორგანიზაცია.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ სისტემატიური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის

საკითხებში. მხოლოდ ასეთი სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

სადემონტაჟო სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

სამშენებლო ნაგვის გატანა ნაგავსაყრელზე ობიექტიდან ხორციელდება ავტოთვითმცლელების საშუალებით.


სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და ასევე შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისა და ხმაურისაგან.

დემონტაჟის სამშენებლო გენგეგმა მ 1:100

ნინოშვილის ქუჩა

ამ ეზოში ნაჰამოშობილი სახიფათო ზონა აღინიშნოს ჰაჩაჟ დასანახი ნიშნებით და შესაძლებლობის მიხედვით შემოიღობოს.

არსებული ეზო (დემონტაჟის მწარმოებელმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს ამ ეზოში უსაფრთხო მუშაობა და აღბილობრივ მცხოვრებთა უსაფრთხოება)



პირობითი აღნიშვნები:

- სამეზობლო ეკლესია არ ექვემბარება დემონტაჟს
- არსებული შენობის ეკლები
- საღემონტაჟო ეკლები
- იატაკის კონსტრუქციების დემონტაჟი
- დროებითი შენობა ნაგებობები
- IV ღია სასაწყობო მოედანი
- დროებითი ღობე

დროებითი შენობა - ნაგებობების ექსპლიკაცია

I. სამუშაოთა მწარმოებლის ოფისი

II. საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა

III. დროებითი დახურული საწყობი

IV. ღია სასაწყობო მოედანი

V. დროებითი ღობე

შენიშვნა:
1. ნინაშენებიდან ნახაზი @~მო-1~ იხილეთ განმარტებით ბარათთან ერთად.
2. საღემონტაჟო სამუშაოთა ნარმოების მეთოდები მოცემულია განმარტებით ბარათში.
3. ყველა საღემონტაჟო სამუშაო ჩატარდეს სნდნ-III-4-80*-ის მოთხოვნების თანახმად.

ექსპლიკაცია
1. საღემონტაჟო შენობა
2. არსებული არასაღემონტაჟო შენობები
3. არსებული ეზო

შ. პ. ს. '" არქარტი "			ნინოშვილის ქ.№30-ში არსებული ნაგებობის მიშენება რეკონსტრუქციის პროექტი	
დირექტორი		გ. მარსაგიშვილი	მშენებლობის ორგანიზაცია	სტადია: მუშა პროექტი
პრ. მთ. არქიტექტ.		გ. მარსაგიშვილი		
ავტორები			დემონტაჟის სამშენებლო გენგეგმა	დაკვ. I/14
				ფურც. მო-1
დაამუშავა		ტ. სტურუა	მასშტაბი 1:100	ფურც. რაოდ.-1

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა (ხანგრძლივობა – 3 თვე)

ფორმა №1

№	სამუშაოთა დასახელება	ხანგრძლივობა (თვეები)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი		
			თვეები		
			I	II	III
1	2	3	4	5	6
	I. მოსამზადებელი სამუშაოები				
1	დროებითი შემოღობვის მოწყობა და სახიფათო ზონების ადგილზე დატანა. სიგნალების მოწყობა	0.25	▬		
2	შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან	0.25	▬		
3	მტვრისა და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებების მოწყობა	0.25	▬		
	II. სადემონტაჟო სამუშაოები				
4	სახურავის და სხვენის დემონტაჟი, შუქფარნების დემონტაჟი	0.5	▬		
5	კარ-ფანჯრების დემონტაჟი	0.5	▬		
6	იატაკების და ჭერების დემონტაჟი	0.5	▬		
7	დახურვის კონსტრუქციების დემონტაჟი	1.0	▬	▬	
8	მზიდი კედლების და ტიხრების დემონტაჟი	2.0		▬	▬
9	მეორადი გამოყენების ელემენტების გატანა მოედნიდან	2.5	▬	▬	▬
10	სამშენებლო ნარჩენების გატანა მოედნიდან	2.5	▬	▬	▬

I. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა
დემონტაჟის ხანგრძლივობა 3 თვე

ფორმა №1

№	სამუშაოთა დასახელება	საჭირო მანქანა-მექანიზმები	სამუშაო ცვლების რაოდენობა	მუშათა რაოდ-ბა ცვლაში	ბრიგადის შემადგენლობა	სამუშაოს ხანგრძლივობა (თვე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი		
							თვეები		
							I	II	III
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	I. მოსამზადებელი სამუშაოები								
1	დროებითი ღობის მოწყობა და სახიფათო ზონების ადგილზე დატანა; სიგნალების და ნიშნების მოწყობა	-	1	2	მუშა – 2	0.25	—		
2	დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა, სასაწყობო მოედნების მოწყობა	-	1	2	მუშა – 2	0.25	—		
3	შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან	-	1	2	ელექტრ. – 1 სანტექნ. – 1	0.25	—		
4	მტვრისა და ხმაურისაგან დამცავი ღონისძიებების მოწყობა	-	1	2	მუშა – 2	0.25	—		
	II. სადემონტაჟო სამუშაოები								
5	სახურავის და სხვენის დემონტაჟი; შუქფარნების დემონტაჟი	ამწე	1	4	ხურო – 2 მუშა – 2 მემანქ. – 2	0.5	—		

6	კარ-ფანჯრების დემონტაჟი	-	1	4	მუშა – 4	0.5			
7	იატაკების დემონტაჟი; ჭერების დემონტაჟი	-	1	4	მუშა – 4	0.5			
8	დახურვის კონსტრუქციების დემონტაჟი	ამწე	1	6	მემონტ. – 2 მუშა – 2 მემანქ. – 2	1.0			
9	მზიდი კედლების და ტიხრების დემონტაჟი	ამწე	1	8	კალატოზი 2 მუშა 6	2.0			
10	მეორადი გამოყენების ელემენტების გატანა მოედნიდან	ამწე ავტო-თვითმცლ	1	3	მძღოლი – 2 მემანქ. – 1	2.5			
11	სამშენებლო ნარჩენების გატანა მოედნიდან	ავტოთვითმ ცლელი. ექსკავატ	1	3	მძღოლი – 2 მემანქ. – 1	2.5			

3. მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი მასალების და სამშენებლო ნარჩენების გატანის გრაფიკი

ფორმა №2

№	დემონტირებული, დაშლილი და მონგრეული მასალების ნაკეთობების, დეტალების და კონსტრუქციების დასახელება	განზ. ერთ	რაოდ-ბა	გატანის გრაფიკი		
				თვეები		
				I	II	III
1	2	3	4	5	6	7
1	სახურავის და სხვენის მასალები და დეტალები (მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი)	მ^3	-			
2	კედლების და ტიხრების აგური (მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი)	მ^3	-			
3	ანაკრები კონსტრუქციები (მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი)	ცალი	-			
4	კარ-ფანჯრები (მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი)	ცალი	-			
5	სამშენებლო ნარჩენები	ტნ	-			

4. მუშათა კადრების მოძრაობის ბრაფიკი

ფორმა №3

№	მუშათა პროფესიების დასახელება	მუშათა რიცხოვნობა (კაცი)	მუშათა საშუალო დღეღამური რიცხოვნობა		
			თვეები		
			I	II	III
1	2	3	4	5	6
1	მემონტაჟე (კონსტრუქციის სადემონტაჟო სამუშაო)	2	32	24	14
2	კალატოზი (აგურის კედლების დემონტაჟი)	2			
3	ელ.შემდუღებელი (არმატურის კარკასის ჩაჭრა)	1			
4	ამწის მემანქანე	1			
5	ამწის მემანქანის თანაშემწე	1			
6	ელექტრიკოსი (ელ.ქსელის დემონტაჟი)	1			
7	სანტექნიკოსი (წყალ-კანალ.დემონტაჟი)	1			
8	დამხმარე მუშა	10			
9	ხურო (სახურავის დემონტაჟი)	4			
10	მძღოლი ავტოტრანსპორტის	4			
11	ექსკავატორის მემანქანე	1			

5. ძირითადი სამშენებლო მანქანების მოძრაობის ბრაფიკი

ფორმა №4

№	დასახელება	განზ. ერთ.	მანქანების რაოდ-ბა	მანქანების საშუალო დღეღამური რიცხოვნობა		
				თვეები		
				I	II	III
1	2	3	4	5	6	7
1	საავტომობილო ამწე, ტვირთამწეობით 10 ტნ	ცალი	1	6	6	6
2	ექსკავატორი "უკუჩამჩა" ტევადობით 0.25 მ^3	ცალი	1			
3	ავტოთვითმცლელები	ცალი	2			
4	ბორტული ავტომანქანა	ცალი	2			